

ანტონიო გრამში

სახელმწიფოს დაპყრობა*

განსაზღვრული წარმოების ფორმით, ქმნის მუშათა მასების სათანადო მოწყობას. ამ ფაქტიდან გამომდინარე საჭიროა მარქსიზმის საწყისი, ფუნდამენტური თეზისების მიება, კვლევა. საჭიროა აღმოვაჩინოთ ახალ პროლეტარულ კულტურაში, გარემოებები, რასაც კაპიტალისტური უწყესრიგობა ქმნის თავისუფალი კონკურენციით.

კაპიტალისტურ მოქმედებათა სფეროში მოქცეულია მოქალაქე-ინდივიდი, მუშა, რომელსაც მართავს თავისუფალი კონკურენცია. შესაბამისად ბრძოლის საწყისი გარემოებები ყველასთვის ერთნაირი არაა; კერძო საკუთრების არსებობა, სოციალურ უმცირესობას აყენებს პრივილეგიებულ მდგომარეობაში, ეს კი ქმნის უთანასწორო ბრძოლას. მუშები ჩვეულებრივ იმყოფებიან სასიკვდილო საფრთხის ქვეშ: რისკების, რაც ემუქრება მათ სიცოცხლეს, კულტურას, მომავალს შრომით ბაზარზე წარდგენით. აქედან გამომდინარე მუშები ცდილობენ თავი დააღწიონ თავისუფალ კონკურენციას და ინდივიდუალიზმის სფეროს, გაერთიანება და სოციალური სოლიდარობის პრინციპები კი მოცემულ მდგომარეობაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუშათა კლასისთვის. ინსტიტუტების განვითარებაც ამ პრინციპებიდან უნდა გამომდინარეობდეს, ისტორიული განვითარების პროცესის პარალელურად, რასაც მივყავართ კომუნიზმამდე.

ისტორიულ ტენდენციებზე დაყრდნობით; სოციალური აპარატების შექმნით და განვითარებით გაერთიანებებმა უნდა ითამაშონ გადამწყვეტი როლი პროლეტარულ რევოლუციაში.

პროლეტარული ინსტიტუტებისა და პროლეტარული მოძრაობის განვითარება, შეუძლებელია ავტონომიურად, შიდა რეგულაციების გარეშე. სახელმწიფოში, ისტორიული ეპოქების ანალიზით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დომინირებდა ის რეგულაციები და კანონები, რაც კერძო მესაკუთრეთა კლასის ინტერესებს შეესაბამებოდა. სახელმწიფო ყოველთვის იყო ისტორიაში მთავარი როლის შემსრულებელი, რადგან ფლობდა კერძო მესაკუთრეთა

* მთარგმნელი: საბა ტლაშაძე

კლასის ძალას. სახელმწიფოში კერძო მესაკუთრეთა კლასი აორგანიზებს საკუთარ თავს ერთიანობად და აწარმოებს კლასობრივ ბრძოლას, უპირატესობის დაუფლების მიზნით, საზოგადოების საკუთარი ინტერესების შესაბამისად მართვისთვის.

პროლეტარული მოძრაობის ერთადერთ ფუნქციას, კაპიტალისტურ თავისუფალ კონკურენციაში ჩაბმა წარმოადგენდა. პროლეტარიატი იმართებიდა არა შიდა არამედ გარე რეგულაციებით და კანონებით, ძლიერი ზეწოლის თანხლებით, მათი კაპიტალისტურ კონკურენციაში ჩაბმისთვის. ეს რათქმაუნდა ასტიმულირებდა პირად კონფლიქტებს, დევნიაციას და კონფორმიზმს მუშათა კლასის.

ნაწილი პროლეტარული და სოციალური მოძრაობებისა აისახა სავაჭრო გაერთიანებების პროპაგანდაში. ერთ-ერთ ასეთ პროპაგანდისტული მოძრაობას წარმოადგენდა სინდიკალისტური მოძრაობა, რისი განვითარების მიზანიც მარქსიზმის სწორი ინტერპრეტაცია იყო. თუმცა აშკარა მარცხი განიცადა და მისი მარცხის მიზეზებიც შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ: სავაჭრო გაერთიანებები თუ არ არიან საკუთარი ფორმით და ფუნქციით ორგანიზებულნი, ვერ აირჩევენ განვითარებისთვის საჭირო; შესაბამის კურსს. სინდიკალიზმმა, რაც რეალურად ეფუძნებოდა ლიბერტარიანულ ტენდენციებს გასაკვირი არაა რომ ვერ შეინარჩუნა განვითარებისთვის საჭირო კურსი, რამაც განაპირობა მისი მარცხი. სინდიკალისტურმა ტენდენციებმა ვერ შეცვალეს სოციალისტური პარტიების როლი, ვერს მუშათა მომზადებაში რევოლუციისთვის. სინდიკალისტები მოქმედებდნენ გარე რეალობაში, შესაბამისად მათი პოლიტიკა ფუნდამენტურად არასწორი იყო. საპარლამენტო სოციალიზმის წარმომადგენლები უფრო მეტად უახლოვდებოდნენ არსებით საკითხებს, მათი მხრიდან მოსალოდნელია შეცდომები, მაგრამ არსებითად მიდგომა სწორია. მუშები, რომლებიც ჩარევით ცვლიან სოციალურ ურთიერთობას, ორგანიზდებიან სოციალისტური პარტიის ირგვლივ. მიუხედავად შეცდომებისა, პარტია წარმატებებს აღწევს მისი მისიის საბოლოო ანალიზით-შექმნას პროლეტარიატი, დაიწყოს განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რაც პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების სიტორიული განვითარების პროცესს.

მუშები და გლეხობა აანალიზებდა, რომ მთელი პერიოდის მანძილზე დემოკრატიული-საპარლამენტო სახელმწიფოს დიქტატურის პირობებში, მათი ყველა მცდელობა, ამ დიქტატურიდან თავის დაღწევის უშედეგო იყო. ცხადია, გარემოში, რასაც ქმნის მოცემული ინდუსტრიული წარმოება,

ნებისმიერი ადამიანი მონაწილეობას იღებს ცხოვრებაში და აუმჯობესებს საკუთარ გარემოს მხოლოდ, როგორც ინდივიდუალური მოქალაქე, დემოკრატიული-საპარლამენტო სახელმწიფოს წევრი. აპოლიტიკურობის აპოლიტიზირება წარმოადგენდა მხოლოდ პოლიტიკის დეგენერაციას. სახელმწიფო არის პოლიტიკური და აერთიანებს პარლამენტთან ერთად სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფო ინსტიტუტებს.

მარქსისტი კომუნისტები უნდა განიხილავდნენ საკუთარ თავს ფსიქოლოგებად, ვინც კითხვებს უსვამს თანამოსაუბრეს, რათა მოჰფინოს ნათელი მის აზრებს. მათ ზურგი არ უნდა აქციონ ბურჟუაზიული კონკურენციით ნაკარნახებ მოვლენებს, პირიქით უნდა წარმოადგინონ ამ მოვლენების სიღრმისეული კრიტიკა. სიტორია რათქმაუნდა არ არის პროგნოზირებადი, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ყველაფერი არაპროგნოზირებადია რაც ქმნის ისტორიას, ისტორიას რაც ერთდროულად არეის თავისუფლება და საჭიროება. ინსტიტუტები, რაშიც ვითარდება ისტორია, ჩამოყალიბდნენ და აგრძელებენ არსებობას; მათ შექმნეს, განავითარეს კონკურენტული საწარმოო პირობები და ადამიანის სპირიტუალისტური ცნობიერება. თუ შეიცვლება საწარმოო პირობები, შეიცვლება ადამიანის ცნობიერების დონე, შეიცვლება საზოგადოებრივი ფორმაცია, ტრადიციული ინსტიტუტები დასუსტდება. თუ ისტორიის განვითარების პროცესში, ინტელექტს არ შეეძლება აჰყვეს რიტმს მოვლენების განვითარების, ცივილიზაციის არსებობა შეუძლებელი იქნება. პოლიტიკური გენიოსი სწორედ ამ უნარით ფასდება, უნარით გაანთავისუფლოს ახლო და შორეული მომავალი.

სოციალისტები ხსირად აღიქვამენ მხოლოდ და მხოლოდ იმ რეალობას, რასაც კაპიტალისტური მოწყობა ქმნის. იძირებიან ლიბერალური ეკონომიკის ცდომილებებში, იჯერებენ რა დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების მუდმივობას და სრულფასოვნებას. ისინი თვლიან, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტები შეიძლება კორექტირდნენ, მაგრამ აღიარებენ ამ ინსტიტუტების ფუნქციონირების ფუნდამენტურ პრინციპებს.

ამგვარი მცდარი კონცეფციების, კონფორმიზმის და „კრეტინული“ საპარლამენტო ტაქტიკის გათვალისწინებით, ჩნდება დღევანდელი ფორმულა „სახელმწიფოს დაპყრობა“. რუსეთის, უნგრეთის, გერმანიის რევოლუციების გამოცდილებით ვრწმუნდებით, რომ სოციალისტური სახელმწიფო შეუძლებელია ჩამოყალიბდეს კაპიტალისტურ სახელმწიფო ინსტიტუტებში. კაპიტალისტური სახელმწიფო ინსტიტუტები

ორგანიზდებიან მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით.

სოციალისტური სახელმწიფო არაა კომუნიზმი, იგი წარმოადგენს ერთგვარი ეკონომიკური პრაქტიკის მიღლების საშუალებას; არის გარდამავალი ეტაპი, რასაც შეუძლია დაძლიოს კაპიტალისტური თავისუფალი კონკურენცია კერძოსაკუთრების გაუქმებით. ეს შეუძლებელია განხორციელდეს საპარლამენტო-დემოკრატიის პირობებში. ფორმულა „სახელმწიფოს დაპყრობა“ უნდა გავიგოთ, როგორც ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნა, წარმოქმნილი მუშათა კლასის თანამშრომლობის გამოცდილებით, დემოკრატიული-საპარლამენტო სახელმწიფოს შესაცვლელად. ჩვენ ვთქვით, რომ სოციალისტური და პროლეტარული აპარატები ვერ განვითარდებიან დამოუკიდებლად, საჭიროა მასშტაბური კონფიგურაცია საზოგადოების, რომელიც იმართება კაპიტალისტური კანონებით. საზოგადოებრივი ფორმაციის ცვლილებით კაპიტალისტები დაკარგავენ საკუთარ უპირატესობას- თავისუფლებას და ძალას. კაპიტალისტური წყობა განავითარა წარმოების და გაცვლის მონოპოლიზირებამ. საპირისპირო წყობა მუშათა კლასის, ამ კლასს მისჩემს ძალას, ტრადიციული ინსტიტუტები, რომლებიც არსებობენ თავისუფალი კონკურენციის პირობებში, წინ ვეღარ აღუდგება რევოლუციურ ძალას. როგორც ვთქვით კაპიტალისტური ინსტიტუტები არსებობენ თავისუფალი კონკურენციის პირობებში, შესაბამისად ყოველთვის ეცდებიან გადარჩნენ ვიდრე არ დაიძლევა ამგვარი კონკურენცია, ვიდრე ეროვნული პროლეტარული დიქტატურა არ შეუერთდება საერთაშორისო კომუნიზმს. ამიტომ საჭიროა მოხდეს ახალი ინსტიტუტების წარმოშობა და განვითარება, დემოკრატიული-საპარლამენტო სახელმწიფოს კერძო და საჯარო ინსტიტუტებს შეცვლის მიზნით. ინსტიტუტები, რომლებიც შეცვლიან კაპიტალისტურ პერსონალს ადმინისტრაციულ ფუნქციონირებაში, უზრუნველყოფენ წარმოების ავტონომიას ქარხნებში, სეექმლებათ განსაზღვრონ მიმართულებები საწარმოო ურთიერთობებისა და გაცვლის კომპლექსურ სისტემაში, ამით შეექმნება დააკავშიროს ქარხნები და სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრია, რაც შექმნის მარტივ ეკონომიკურ გაერთიანებას; დაგეგმვით შექმნის ჰარმონიას ეროვნულ და საერთაშორისო ეკონომიკას შორის, შედეგად გაანთავისუფლებს მას კერძომესაკუთრეთა პრაქტიკული დიქტატურისგან.

ამგვარად აუცილებელია ახალი პროლეტარული ინსტიტუტების სისტემის შექმნა, რასაც ექნება მასების მუდმივი ნდობა, დისციპლინის უზრუნველყოფით კი მუშებს და გლეხებს მისცემს განვითარების საშუალებას

